ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) 2024 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება *Maximilian Schrems v Meta Platforms Ireland Ltd, formerly Facebook Ireland Ltd, C-446/21, ECLI:EU:C:2024:834*

მნიშვნელოვანი ამონარიდი გადაწყვეტილებიდან:

„47 [...] მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მე-5 მუხლით გათვალისწინებული, **პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული პრინციპები გამოიყენება კუმულატიურად** (2022 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება, Digi, C-77/21, EU:C:2022:805, 47-ე პუნქტი).

48 ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მე-5(1)(a) მუხლის მიხედვით, **მონაცემთა სუბიექტთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები უნდა დამუშავდეს კანონიერად, სამართლიანად და გამჭვირვალედ**. აგრეთვე, მე-5(1)(b) მუხლის თანახმად, ასეთი **მონაცემები უნდა შეგროვდეს კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და კანონიერი მიზნებისთვის** და არ უნდა დამუშავდეს სხვა, ამ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით.

49 მეტიც, რეგულაციის მე-5(1)(c) მუხლი, რომელიც „**მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპს**“ ითვალისწინებს, ადგენს, რომ **პერსონალური მონაცემები „უნდა იყოს ადეკვატური, რელევანტური და დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია დამუშავების მიზნების მისაღწევად**“ (2023 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება, Meta Platforms and Others (სოციალური ქსელის გამოყენების ზოგადი პირობები), C-252/21, EU:C:2023:537, 109-ე პუნქტი [...]).

50 [...] **აღნიშნული პრინციპი გამოხატავს პროპორციულობის პრინციპს** (ამ მიზნით, იხ., 2021 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება Latvijas Republikas Saeima (Penalty points), C-439/19, EU:C:2021:504, 98-ე პუნქტი [...], და 2024 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება Direktor na Glavna direktsia 'Natsionalna politsia' pri MVR – Sofia, C-118/22, EU:C:2024:97, 41-ე პუნქტი).”

[…]

„52 [...] **რაც შეეხება პერსონალური მონაცემების დამუშავების დროით შეზღუდვას** [...], **მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპი მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისგან მოითხოვს შეზღუდოს ამ პერსონალური მონაცემების შეგროვების პერიოდი იმ ვადით, რაც აუცილებელია მხოლოდ დამუშავებისთვის განსაზღვრული მიზნისთვის** (2022 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება, Valsts ieņēmumu dienests (პერსონალური მონაცემების დამუშავება საგადასახადო მიზნებისთვის), C-175/20, EU:C:2022:124, 79-ე პუნქტი).”

[…]

„54 დამატებით, უნდა აღინიშნოს, რომ მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მე-5(1)(e) მუხლის თანახმად, პერსონალური მონაცემები **უნდა იყოს შენახული ისეთი ფორმით, რომელიც იძლევა მონაცემთა სუბიექტების იდენტიფიცირების შესაძლებლობას არაუმეტეს იმ დროისა, რაც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნებისათვის.**

55 ამგვარად, აღნიშნული მუხლის ფორმულირებიდან ცალსახაა, რომ **„შენახვის შეზღუდვის“ პრინციპი** დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისგან მოითხოვს, ჰქონდეს იმის დემონსტრირების შესაძლებლობა [...], რომ პერსონალური მონაცემები ინახება მხოლოდ იმ დროით, რაც აუცილებელია იმ მიზნებისთვის,

რისთვისაც ისინი შეგროვდა ან რისთვისაც ისინი შემდგომ დამუშავდა (ამ მიზნით, იხ., 2022 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება, Digi, C-77/21, EU:C:2022:805, 53-ე პუნქტი).”

[…]

„58 ნებისმიერ შემთხვევაში, **სოციალური ქსელის პლატფორმის მომხმარებლების პერსონალური მონაცემების შენახვა განუსაზღვრელი ვადით, მიზნობრივი რეკლამირების მიზნით, უნდა ჩაითვალოს მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციით (GDPR) ამ მომხმარებლებისთვის გარანტირებულ უფლებებში არათანაბარზომიერ ჩარევად.**

59 რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ პერსონალური მონაცემები [...] შეგროვებული, გაერთიანებული, გაანალიზებული და დამუშავებულია მიზნობრივი რეკლამირებისთვის, ამ მონაცემების კატეგორიის განურჩევლად, […] ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ წარსულში დაადგინა, რომ მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მე-5 (1)(c) მუხლში მოცემული მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპის გათვალისწინებით, **მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი არ უნდა ჩაერთოს პერსონალურ მონაცემთა შეგროვების პროცესში განზოგადებული და განურჩეველი სახით და თავი უნდა შეიკავოს იმ მონაცემთა შეგროვებისგან, რომლებიც ძლიერ აუცილებელი არ არის დამუშავების მიზნისთვის** (2022 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება, Valsts ieņēmumu dienests (პერსონალური მონაცემების დამუშავება საგადასახადო მიზნებისთვის), C-175/20, EU:C:2022:124, 74-ე პუნქტი).

60 ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ რეგულაციის 25(2)-ე მუხლი მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისგან მოითხოვს, განახორციელოს შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყოს, რომ [...] მხოლოდ ის პერსონალური მონაცემები დამუშავდეს, რომლებიც აუცილებელია დამუშავების ყოველი კონკრეტული მიზნისთვის. აღნიშნული **დებულების ფორმულირების მიხედვით, ეს მოთხოვნა, მათ შორის, ვრცელდება შეგროვებული პერსონალური მონაცემის რაოდენობაზე, მათი დამუშავების მასშტაბებსა და შენახვის ვადებზე.**

61 მოცემულ საქმეში ცხადია, [...], რომ Meta Platforms Ireland აგროვებს Facebook-ის მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს [...], რომლებიც ეხება ამ მომხმარებლების აქტივობებს, როგორც სოციალური ქსელის ფარგლებში, ისე მის გარეთ, მათ შორის, მონაცემებს, რომლებიც უკავშირდება ონლაინ პლატფორმაზე შესვლას და გარეშე (უცხო) ვებგვერდებს და აპლიკაციებს და ასევე, ასახავს მომხმარებელთა ნავიგაციას ამ ვებგვერდებზე სათანადო ვებგვერდებში ჩაშენებული პიქსელებისა და სოციალური ქსელის მოდულების (plug-in) გამოყენებით.

62 […] **ასეთი დამუშავება განსაკუთრებულად ფართომასშტაბიანია, რადგან იგი უკავშირდება პოტენციურად შეუზღუდავ მონაცემებს და მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მომხმარებელზე,** [...], **რამაც შესაძლოა გააჩინოს შეგრძნება, რომ მის პირად ცხოვრებას მუდმივად აკვირდებიან** (2023 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება, Meta Platforms and Others (სოციალური ქსელის გამოყენების ზოგადი პირობები), C-252/21, EU:C:2023:537, 118-ე პუნქტი)

63 ამ პირობებში, მონაცემთა დამუშავება [...] ხასიათდება, როგორც სერიოზული ჩარევა მონაცემთა სუბიექტის ძირითად უფლებებში, კერძოდ, როგორიცაა პირადი ცხოვრების პატივისცემისა და პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებები, რომლებიც გარანტირებულია ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიის მე-7 და მე-8 მუხლებით, რომელიც […] არ აღიქმება გონივრულად გამართლებულად იმ მიზნის გათვალისწინებით, რომელიც მიზნობრივი რეკლამის გავრცელების ხელშეწყობის შესაძლებლობას გულისხმობს.

64 ნებისმიერ შემთხვევაში, სოციალური ქსელის პლატფორმის მიერ რეკლამირების მიზნებისთვის შენახული მთელი **პერსონალური მონაცემების განურჩეველი გამოყენება,** მიუხედავად მონაცემების სენსიტიურობის ხარისხისა, არ წარმოადგენს პროპორციულ ჩარევას ამ პლატფორმის მომხმარებლებისთვის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციით (GDPR) გარანტირებულ უფლებებში.

65 **ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით,** [...] **მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მე-5(1)(c) მუხლი უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ მასში მოცემული მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპი გამორიცხავდეს მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ, როგორიცაა ონლაინ სოციალური ქსელის პლატფორმის ოპერატორი, მესამე პირებისა ან მონაცემთა სუბიექტისგან მიღებული და პლატფორმის**

ფარგლებში ან მის გარეთ შეგროვებული ნებისმიერი პერსონალური მონაცემის გაერთიანებას, გაანალიზებასა და დამუშავებას მიზნობრივი რეკლამირებისთვის, დროის თვალსაზრისით შეზღუდვისა და მონაცემთა კატეგორიის განსხვავების გარეშე.“

მოკლე მიმოხილვა:

მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მე-5 მუხლი ადგენს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებულ პრინციპებს.

ამავე რეგულაციის მე-5(1)(c) მუხლის მიხედვით, **პერსონალური მონაცემები უნდა იყოს მათი დამუშავების მიზნების ადეკვატური, რელევანტური და დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია დამუშავების მიზნების მისაღწევად (მონაცემთა მინიმიზაცია).**

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) დაადგინა, რომ **მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის მე-5(1)(c) მუხლი უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ მასში მოცემული მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპი გამორიცხავდეს მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ, როგორიცაა ონლაინ სოციალური ქსელის პლატფორმის ოპერატორი, მესამე პირებისა ან მონაცემთა სუბიექტისგან მიღებული და პლატფორმის ფარგლებში ან მის გარეთ შეგროვებული ნებისმიერი პერსონალური მონაცემის გაერთიანებას, გაანალიზებასა და დამუშავებას მიზნობრივი რეკლამირებისთვის, დროის თვალსაზრისით შეზღუდვისა და მონაცემთა კატეგორიის განსხვავების გარეშე.**

ეროვნული კანონმდებლობის ნორმის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საფუძველი	საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების დანართი I
ევროკავშირის სამართლებრივი აქტი, რომელთანაც მოხდა ეროვნული ნორმის დაახლოება	ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაცია (EU) 2016/679 პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ, რომელიც აუქმებს დირექტივას 95/46/EC (მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (GDPR))
ევროკავშირის დებულება	რეგულაციის 2016/679 მე-5(1)(c) მუხლი
ეროვნული ნორმა, რომლის დაახლოება ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან უკვე მოხდა	„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის (გ) ქვეპუნქტი *(სარეგისტრაციო კოდი 010100000.05.001.020936; 13/05/2025 კონსოლიდირებული ვერსია)*
საკვანძო ტერმინი	**მონაცემთა მინიმიზაცია**
CJEU-ს პრეცედენტული სამართალი	*2024 წლის 4 ოქტომბრის სასამართლოს გადაწყვეტილება, Maximilian Schrems v Meta Platforms Ireland Ltd, formerly Facebook Ireland Ltd, C-446/21, ECLI:EU:C:2024:834*

ინფორმაცია დამუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის მიერ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის საფუძველზე.

ანალიზი განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის და არ ასახავს რომელიმე ორგანიზაციის, დაწესებულების ან სუბიექტის შეხედულებებს. ანალიზის სიზუსტე, სისრულე და გამოყენებადობა უნდა გადამოწმდეს შესაბამის იურიდიულ პროფესიონალებთან და არ უნდა ჩაითვალოს იურიდიულ რჩევად.